EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 2015-2020 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიში

სარჩევი

შესავალი.....3

1. დოკუმენტის მიზანი.....4

2. ზოგადი ინფორმაცია.....4

3. 2015-2020 წლებში განხორციელებული კვლევითი აქტივობების ზოგადი აღწერა.....5

4. კვლევითი სტრუქტურული ერთეულები და აკადემიური პერსონალი.....6

4.1. ფაკულტეტები.....7

4.2. სამეცნიერო ცენტრები/ ინსტიტუტები.....9

5. ინსტიტუციური სამეცნიერო კვლევითი აქტივობები და კვლევითი ინფრასტრუქტურა.....11

6. კვლევების ინტერნაციონალიზაცია.....14

7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა.....16

8. სოციალური პასუხისმგებლობა.....19

9. კვლევითი ეთიკის ნორმების დაცვის მექანიზმები.....20

10.სადოქტორო კვლევების განვითარების მექანიზმები.....21

11.ინოვაციები სამედიცინო განათლებაში.....22

12.უნივერსიტეტის 2019-2025 წწ-ების სტრატეგიული გეგმა.....23

13.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, კვლევითი პრიორიტეტები, მიმდინარე და დაგეგმილი.....24

13.1. იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.....24

13.2. ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი.....26

13.3. ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტი.....27

13.4. ფსიქოლოგიისა და ნეირო-მეცნიერებების კვლევითი ცენტრი.....28

13.5. ვ. ჩერქეზიშვილის სახ. ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი.....29

13.6. საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის ინსტიტუტი.....30

13.7. არქიტექტურის კვლევითი-საპროექტო ბიურო.....30

13.8. მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრი.....31

13.9. მრავალფუნქციური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.....32

14. SWOT ანალიზი და რეკომენდაციები.....33

დანართი 1.....36

შესავალი

წარმოდგენელი ანგარიში შემუშავებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი'') სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარატმენტის (შემდგომში - ,,დეპარტამენტი'') მიერ. დოკუმენტში აისახა და წარმოდგენილია უნივერსიტეტის 2015-2020 წლების კვლევითი საქმიანობის ანალიზი. ანგარიშს საფუძვლად უდევს დეპარტამენტის მიერ შესწავლილი საკითხები: საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევითი აქტივობები, აკადემიური და კვლევითი პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და პროდუქტიულობის შეფასების შედეგები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის მიმართული საბიუჯეტო სახსრები, უნივერსიტეტში არსებული კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები, ინეტრნაციონალიზაციის მაჩვენებლები კვლევით საქმიანობაში და კვლევითი განვითარების ტენდენციები, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები და კვლევითი სტრატეგია, სადოქტორო კვლევების განვითარების მიმართულებით გაწეული სამუშაოები, სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომები, უნივერსიტეტში კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის მექანიზმები. შესაბამისად, ხუთწლიან ჭრილში წარმოდგენილია კვლევითი საქმიანობის დინამიკისა და პროგრესის/რეგრესის მაჩვენებლები, შემუშავებულია **SWOT** ანალიზი.

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია **მიზანი,** 2015-2020 წლებში უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობასთან დაკავშირებით ზოგადი ინფორმაცია როგორც კვლევითი მისიისა და კვლევითი სტრატეგიული პრიორიტეტების, ასევე უნივერსიტეტში განხორციელებული აქტივობების შესახებ. აღწერილია კვლევითი საქმიანობის მართვის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები, მათი კვლევითი პრიორიტეტები და ინოვაციური მიდგომები, რომელსაც იყენებენ საგანმანათლებლო პროცესში, ამასთანავე წარმოდგენილია კვლევითი საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობის აღწერა-ანალიზი როგორც ინსტიტუციურ დონეზე, ასევე ფაკულტეტებისა და კვლევითი ცენტრების მიმართულებით (კვლევების ინტერნაციონალიზაცია, სოციალური პასუხისმგებლობა, მხარდამჭერი მექანიზმები და სხვა), წარმოდგენელია SWOT ანალიზი. დოკუმენტს ახლავს დანართები, სადაც დეტალურად არის ასახული აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში 2015-2020 წლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

1. დოკუმენტის მიზანი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - **„უნივერსიტეტი“**) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშის **მიზანს** წარმოადგენს უნივერსიტეტში 2015-2020 წლებში როგორც ინსტიტუციურ დონეზე, ასევე, უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების მიერ განხორციელებული, მიმდინარე, დაგეგმილი კვლევითი და ინოვაციური პროექტების და აქტივობების აღწერა და ანალიზი.

2. ზოგადი ინფორმაცია

უნივერსიტეტი **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მისიის** შესაბამისად, მიისწრაფის ჩამოყალიბდეს როგორც კვლევებზე ორიენტირებული ინსტიტუცია, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების შესაბამის კვლევებს, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების საშუალებით უზრუნველყოფს კვლევითი პოტენციალის განვითარებას და კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებას.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების საკითხები და ამოცანები გარდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მისიისა, ასევე, წარმოდგენილია უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიულ განვითარების და 2019-2025 კვლევითი საქმიანობის სტრატეგიაში.

დასახული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი ახორციელებს 2019-2025 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიას, რათა საერთაშორისო დონეზე აღიარებული იქნას როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული და კვლევაზე ორიენტირებული ინსტიტუცია, რისთვისაც:

- ახალისებს აკადემიურ პერსონალს, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარებს, ახალი ცოდნისა და მაღალი ხარისხის სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნისთვის, აგრეთვე მხარს უჭერს მათ კვლევითი პოტენციალის განვითარებას;
- ავითარებს კვლევითი ეთიკის კულტურას და ხელს უწყობს ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას;
- ახორციელებს კვლევის შედეგების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში;
- უზრუნველყოფს სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციას და მათ ჩართულობას;
- თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან კვლევითი პროექტების განხორცილების მიზნით;
- უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით მიღებული შედეგების გამოყენებას;
- ოპტიმალურად და ეფექტიანად იყენებს ინტელექტუალურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს ხარისხიანი კვლევების განსავითარებლად.

3. 2015-2020 წლებში განხორციელებული კვლევითი აქტივობების ზოგადი აღწერა

2015 წლიდან, მას შემდეგ რაც უნივერსიტეტმა მოიპოვა დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების უფლება და შესაბამისად, მიიღო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სტატუსიც, **განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები და გააქტიურა საკუთარი საქმიანობა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით.** მათ შორის, განვითარდა კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები, ამისათვის *განახლდა დაფინანსების პოლიტიკა და გაიზარდა ბიუჯეტი კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად,* შესაბამისად, ყოველწლიურად უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისათვის ბიუჯეტი არის მზარდი, *შეიქმნა უნივერსიტეტის „კვლევითი საქმიანობის სტრატეგია“ კვლევითი ცენტრები,* აქტიური თანამშრომლობა *განხორციელდა საერთაშორისო კვლევით უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან,* უნივერსიტეტი გაწევრიანდა სხვადასხვა *საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციაში,* 2019-2020 წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და დღეს *უნივერსიტეტი პარტნიორია 40-ზე მეტი საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ორგანიზაციის,* გამოიცა არაერთი *სახელმძღვანელო და ნაშრომი,* შეიქმნა რეფერირებადი *საუნივერსიტეტო ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი,* რომლის სარედაქციო კოლეგია შედგება საერთაშორისო და ადგილობრივი წევრებისგან, ხუთი წლის მანძილზე უნივერსიტეტის მიერ დაორგანიზებულია ან/და განხორციელებულია 50-დე სამეცნიერო *კონფერენცია/სემინარი/ვორკშოპი,* მათ შორის 12 საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მონაწილეობა აქვს მიღებული 400-ზე მეტ მონაწილეს (სტუდენტი აკადემიურ პერსონალი), გამოიცა საკონფერენციო კრებულები, დაფინანსდა პერსონალის ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი აქტივობები, უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტებმა მოიპოვა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო *სამეცნიერო გრანტი,* შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარებისათვის და სტუდენტებისათვის, საერთაშორისო ფონდიდან დაფინანსდა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული რამდენიმე პროექტი, უნივერსიტეტმა ჩაატარა საქართველოში *პირველი შრომის ბაზრის მასშტაბური კვლევა საგანმანათლებლო პროგრამებთან* მიმართებაში, რომელიც განახორციელა სამ უსდ-სთან თანამშრომლობით, *გაიზარდა საბიბლიოთეკო სამეცნიერო ბაზების რაოდენობა,* დაინერგა *სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების განახლებული სისტემა,* პერიოდულად ნახლდებოდა და ბოლოს შეიქმნა თანამედროვე *სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა,* განხორციელდა არაერთი *ერთობლივი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი,* ჩატარდა არაერთი ტრენინგი სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაუმჯობესებისა და განახლებული თანამედროვე საერთაშორისო *სამეცნიერო ელექტრონული ბაზების* მოხმარების მიზნით, უნივერსიტეტი გაძლიერდა *კვალიფიციური და გამოცდილი სამეცნიერო პერსონალით,* გაიზარდა პარტნიორთა ქსელი სამეცნიერო კვლევით საქმიანობის მიზნით, გაიზარდა *უნივერსიტეტში უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა,* სადოქტორო საფეხურზე კვლევებისა და დოქტორანტების მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული ერთეული **„სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი“,** რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი ბრიტანელი სპეციალისტი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამშრომლობა ჩამოყალიბდა Middlesex უნივერსიტეტთან, ვისთანაც შეიქმნა სპეციალური მხარდაჭერის კონტრაქტი, შედეგად

მიდლსექსის უნივერსიტეტის მხარდაჭერით ინერგება განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა, სადაც პროგრამის განმახორციელებლების რანგში არიან ჩართულნი ბრიტანელი სპეციალისტები და ასევე გაწევენ დოქტორანტების მეცნიერ-ხელმძღვანელობას; აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე უნივერსიტეტის დოქტორანტებისათვის დაშვებულია წვდომა მიდლსექსის უნივერისტეტის სამეცნიერო მასალებზე და მათ აქვთ შესაძლებლობა სამეცნიერო კვლევითი პროექტები განახორციელონ მიდლსქესის უნივერსიტეტის ბაზაზე. განახლდა *„პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების წესი“* და შეიქმნა ახალი *„კვლევითი ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი“* და ამასთანავე, შეიქმნა კვლევითი ეთიკის კომიტეტი (საუნივერსიტეტო და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით), განახლდა დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება და შეიქმნა დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დაიხვეწა და დაზუსტდა **„გზამკვლევი დოქტორატებისთვის“** და მკაფიოდ გაიწერა დოქტორანტის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობები; უნივერსიტეტი ფლობდა ანტიპლაგიატის პროგრამაზე „Urkundi" წვდომას, თუმცა დამატებით შეიძინა პლაგიატის გამოვლენის ელექტრონული საერთაშორისო პლატფორმა „Turnitin"; შეიქმნა აკადემიური პერსონალის **პირადი პროფილები საერთაშორისო სამეცნიერო პორტალებზე** - „Google Scholar" და „Orcid" სადაც აიტვირთა მათი სამეცნიერო ნაშრომები და განთავსდა კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციები ინგლისურ ენაზე; მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, კერძოდ, ახალ კამპუსში **აშენდა შენობა კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიებისათვის (კვ.მ.)** და აღიჭურვა თანამედროვე და მაღალი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით, ჯანდაცვის მეცნიერებების ფაკულტეტზე შეიქმნა **„კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითრების ცენტრი“**, რომელიც მოიცავს: *მიკრო-ბიოლოგიის, ბიოქიმიის, ჰისტოლოგიისა და უჯრედული ბიოლოგიის, სიმულაციურ და ანატომიურ* **ლაბორატორიებს**, რომლებიც აღიჭურვა თანამედროვე აპარატურითა და ინვენტარით. აღსანიშნავია, *„ანატომიური კაბინეტი“* სადაც განთავსებულია **„ინტერაქციული ანატომიური მაგიდა“**, რომელიც საშუალებას იძლევა ადამიანის სხეულის რეალურ ზომებში, **3D ფორმატით მოხდეს ორგანიზმის 11 სისტემის სწავლება** და ამავე დროს უწყვეტი შიდა-ინტერნეტით დაუკავშირდეს აუდიტორიებში არსებულ **სენსორულ დაფებს** და ერთდროულად ჩატარდეს აუდიტორიებში ლექციები სხვადასხვა მიმართულებით. მნიშვნელოვანი წარმატება იყო 2020 წლის ბოლოს, როდესაც უნივერსიტეტი გახდა **ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის** (EUA) ინდივიდუალური სრული წევრი.

4. კვლევითი სტრუქტურული ერთეულები და აკადემიური პერსონალი

უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობა ხორციელდება როგორც საფაკულტეტო და კვლევითი ცენტრების, ასევე ინსტიტუციურ დონეზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. აღნიშნული სტრატეგიის წარმატებით განხორციელებაზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს პერსონალისა და სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის ამაღლებაზე ზრუნვას, სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, დარგებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკების გათვალისწინებით, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები ხორციელდება როგორც ფაკულტეტებზე, ასევე სამეცნიერო კვლევით ცენტრებში. კვლევებს გუნდურად და ინდივიდუალურად ახორციელებს კვლევითი ცენტრების და ფაკულტეტების აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები. უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილია ინტერდისციპლინარული და სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივი კვლევების განხორციელებაც.

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განხორციელებას უზრუნველყოფს **სამი ფაკულტეტი და ექვსი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი/ინსტიტუტი**:

4.1. ფაკულტეტები:

ფაკულტეტების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის ძირითადი დებულებით, ფაკულტეტების დებულებებითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგურილებელი აქტებით. ფაკულტეტები ფინანსდება საკუთარი ბიუჯეტიდან და საჭიროების შემთხვევაში საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან. უნივერსიტეტში წარმოდგენილია სამი ფაკულტეტი:

- იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა;
- ბიზნესისა და ინჟინერია;
- ჯანდაცვის მეცნიერებათა;

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტებზე ხორციელდება **ორი სადოქტორო პროგრამა:** 1. სამართლის; 2. ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი); უახლოეს პერიოდში დაგეგმილია განათლების მეცნიერებების ინგლისურენოვანი პროგრამის დანერგვა ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე. მიმდინარე პერიოდისთვის სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა არის სამი.
ფაკულტეტების მიხედვით საქმიანობს **სულ 129 აკადემიური პერსონალი, საიდანაც 84 აფილირებული** პერსონალია:



შესწავლილი იქნა: ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობისა და სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი, ასევე მათი დამოკიდებულება და ინფორმირებულობა უნივერსიტეტში არსებულ კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ მექანიზმებზე, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მაჩვენებლები, პერსონალის მიერ გამოცემული ნაშრომები და სამეცნიერო აქტივობები, მათი ნაშრომების ციტირების მაჩვენებლები, ამასთანავე აკადემიური პერსონალის მხარდასაჭერად განხორციელებული ღონისძიებები, ინფორმაცია სამეცნიერო საგრანტო პროექტების შესახებ და ა.შ. გამოვლენილი შედეგები იძლევა მკაფიო სურათს, რომ **აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების მაჩვენებლები დინამიურად პროგრესირებს**. 2015 წელთან შედარებით 2020 წლისთვის: **4-ჯერ** *არის გაზრდილი სამეცნიერო ჟურნალებში* გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა, ხოლო მათ შორის ასევე **4-ჯერ** არის გაზრდილი *საერთაშორისო და ინფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში* გამოქვეყნებული ნაშრომების მაჩვენებელი; *ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებელი გაზრდილია თითქმის* **3-ჯერ,** ხოლო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის საერთო მაჩვენებელი გაზრდილია **8-ჯერ,** მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა თითქმის **5-ჯერ** არის გაზრდილი, მონოგრაფია/სახელმძღვანელოს გამოცემის მაჩვენებელი გაზრდილია **8-ჯერ.** საგულისხმოა, რომ **კვლევებით დაკავებული პერსონალის რაოდენობა გაზრდილია თითქმის სამჯერ.**

ცხრილი 3. პერსონალის სამეცნიერო ნაშრომები 2015-2020 წწ.





დიაგრამა 2 კვლევითი საქმიანობის განმახორციელებლი პერსონალი

4.2.სამეცნიერო ცენტრები/ინსტიტუტები

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების/ინსტიტუტების საქმიანობა რეგულირდება უნივერსიტეტის ძირითადი დებულებით, უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი აქტებით და ცენტრების დებულებებით. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები ფინანსდება უნივერისტეტის ბიუჯეტიდან.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს უნივერსიტეტში არ ფუნქციონირებდა არც ერთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, **ხოლო 2020 წლისთვის ფუნქციონირებს ექვსი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.** ქვემოთ მოცემულია სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და მათი საქმიანობის მიზნები:

ფსიქოლოგიისა და ნეირო-მეცნიერების კვლევითი ცენტრი

ფსიქოლოგიისა და ნეირო-მეცნიერების კვლევითი ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია თანამედროვე ნეიროტექნოლოგიური და ბიომეტრიული აპარატურის გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ანალიტიკური და სამეცნიერო სამუშაოების განხორციელება და ამ გზით ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების განვითარება საქართველოში; ინოვაციური მიგნებების გაკეთება, საერთაშორისო ინოვაციური და ერთობლივი კვლევების განხორციელება და მსოფლიოში საქართველოს სამეცნიერო სტატუსის ამაღლება;

ცენტრი შეიქმნა 2018 წელს, შექმნისთანავე აღიჭურვა მაღალ-ტექნოლოგიური ქცევისა და ნეირო-მარკეტინგის შემსწავლელი აპარატურით. პირველ ეტაპზე განხორციელდა ევროპელი ექსპერტების მიერ ცენტრის პერსონალის გადამზადება ზემოთ აღნიშნული აპარატურისა და ხელსაწყოების გამოყენების მიზნით და მოხდა ცენტრის საქმიანობაში მაღალტექნოლოგიური აპარატურის ადაპტირება. დღემდე ცენტრს განხორციელებული აქვს **10-მდე კვლევითი პროექტი** და **ამჟამად ახორციელებს ორ კვლევით პროექტს.** ცენტრის მიზნების განსახორციელებლად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და სტუდენტების ცენტრის საქმიანობაში აქტიურად ჩართვა. ამაჟამად, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აქტიურად მიმდინარეობს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დანერგვის პროცესი.

ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი

ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კვლევით ერთეულს, რომლის **მიზანია** ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავება და განხორციელება; უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაში საკუთარი წვლილის შეტანა; ინტერდისციპლინურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერა.
ცენტრი შეიქმნა 2020 წელს, ამჟამად ახორციელებს **ოთხ კვლევით აქტივობას.**

საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის ინსტიტუტი

საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის ინსტიტუტი წარმოადგენს უნივერსიტეტის კვლევით სტრუქტურულ ერთეულს, რომლის **მიზნებია** დარგში მოღვაწე ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერებისა და ექსპერტების მონაწილეობით სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება; საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის სფეროში სიღრმისეული კვლევა, გლობალური და რეგიონული საზღვაო სამართლის პროგრესულ განვითარებაში წვლილის შეტანა; მკვლევართა, სტუდენტთა და საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო საზღვაო სამართლის საკითხებში; საქართველოს მიერ მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა და ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა.
ინსტიტუტი შეიქმნა 2020 წელს და ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ერთ კვლევით პროექტზე.

არქიტექტურის კვლევითი-საპროექტო ბიურო;

არქიტექტურის კვლევითი-საპროექტო ბიურო წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კვლევით ერთეულს, რომლის **მიზანია** უნივერსიტეტში კვლევითი, რეალური სასწავლო-მეთოდური და საწარმოო ბაზის შექმნა ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით; სამეცნიერო-კვლევითი კადრების მომზადება არქიტექტურის მიმართულებით; კარიერული განვითარების ხელშეწყობა არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტებისთვის და მაღალკონკურენტული პროფილური ბიზნესსტრუქტურის შექმნა.
ბიურო შეიქმნა 2018 წელს. **განახორციელა ხუთი კვლევითი პროექტი,** ამჟამად **მიმდინარეობს ერთ კვლევით პროექტზე მუშაობა.**

მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრი;

ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კვლევით ერთეულს, რომლის **მიზანია** ხელი შეუწყოს მკვლევარების, სტუდენტების, საჯარო მოხელეების, სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების

წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას მიგრაციისა და დიასპორის საკითხებზე; ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვას მიგრაციისა და დიასპორის საკითხებზე სამეცნიერო და კვლევით ღონისძიებებში; ხელი შეუწყოს საქართველოში მიგრაციისა და დიასპორის პოლიტიკის განვითარებას.

ცენტრი შეიქმნა 2020 წელს და უკვე განახორციელა **ორი კვლევითი პროექტი** და აქტიურად ახორციელებს კვლევით აქტივობებს.

გამოყენებითი კვლევების მრავალფუნქციური ცენტრი;

ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ კვლევით ერთეულს, რომლის **მიზანია** მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, უნივერსიტეტის ინტელექტუალური და კვლევითი პოტენციალის განვითარება და რეალიზება, ბიზნესის პრობლემურ საკითხებზე ორიენტაცია და ძალისხმევის წარმართვა მათი დროული გადაწყვეტისთვის – ბიზნესთან, სამეცნიერო და საერთაშორისო დაწესებულებებთან, სახელმწიფო და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გზით.

ცენტრი შეიქმნა 2019 წელს და განახორციელა სამი კვლევითი პროექტი, ამჟამად ახორციელებს ერთ კვლევით პროექტს.

5. ინსტიტუციური სამეცნიერო კვლევითი აქტივობები და კვლევითი ინფრასტრუქტურა

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევების განვითარების პროცესის ადმინისტრირებას/კოორდინაციას და მხარდაჭერას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. *აღსანიშნავია, უნივერსიტეტის პროგრესი და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელიც 2015-2020 წლებში უნივერსიტეტში განხორციელდა.* განსაკუთრებით აღსანიშნავია როგორც სამეცნიერო აქტივობების სიმრავლე, ასევე საერთაშორისო პროექტებისა და საერთაშორისო პერსონალის ჩართულობის მაჩვენებლების ზრდა, ასევე კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც თავის მხრივ მიუთითებს უნივერსიტეტის ძალისხმევას განავითაროს როგორც კვლევითი პოტენციალი, ასევე ხარისხი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

2015 წელთან მიმართებით ჩატარებული *სამეცნიერო კონფერენციების რაოდენობა გაზრდილია 16-ჯერ, საგრანტო პროექტების რაოდენობა გაიზარდა 6-ჯერ, საბიბლიოთეკო სამეცნიერო საერთაშორისო ბაზების რაოდენობა გაიზარდა 4-ჯერ, საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი გაიზრდა თითქმის - 3 ჯერ, უნივერისტეტის მიერ გამოცემების რაოდენობა გაიზარდა 3-ჯერ.* აღსანიშნავია, რომ გამოიცემა ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი **„სამეცნიერო შრომების კრებული“ (ISSN 2667-9019)**, რომლის სარედაქციო კოლეგია *შედგება ქართველი და საერთაშორისო მეცნიერთა ჯგუფისგან* და მოწვეულნი არიან საერთაშორისო რეცენზენტები. სამეცნიერო ჟურნალი გამოიცემა ბეჭდური სახით და ამავე დროს, წარმოდგენილია მისი ელ-ვერსია უნივერსიტეტი ვებ-გვერდზე, სადაც შექმნილია ჟურნალის პროფილი და სრულად არის განთავსებული ინფორმაცია ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთანავე ვებსაიტიდანვე არის შესაძლებელი ნაშრომების გადმოგზავნა. საუნივერსიტეტო საგამომცემლო

მომსახურებას სრულად აფინანსებს უნივერსიტეტი და ამავე დროს, ხორციელდება ავტორების დაფინანსება შესაბამისი ბონუს სისტემის მიხედვით. შრომების კრებულში სტატიების გამოქვეყნება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის დაფინანსებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტით.

ინსტიტუციური კვლევითი საქმიანობა დღემდე აქტიურად გრძელდება, მიმდინარე პროექტებიდან აღსანიშნავია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (EEU), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (TSU) და განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) ერთობლივი კვლევითი პროექტი **„სწავლა-სწავლების პრაქტიკის კვლევა საქართველოში"**, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ინოვაციური სამეცნიერო პროექტი - „**საქართველოს მთისპირა სოფლებში სარწყავი წყლის მიწოდების ინოვაციური სისტემა,**" რომელიც განკუთვნილია ბუნებრივი წყლისა და სარწყავი სისტემის გარეშე დარჩენილი სოფლებისა და ტერიტორიებისთვის და ითვალისწინებს მდინარეებიდან წყლის აქაჩვას ელექტროენერგიის გარეშე, ასევე დაქსელვის დაგეგმარებას და წყლის მისაწოდებლად რეგულირებადი ავტომატური სისტემის გამოყენებას.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია უნივერსიტეტში განხორციელებული მსხვილმასშტაბიანი და მნიშვნელოვანი სამუშაოები კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. ახალ კამპუსში აშენდა **კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისათვის ცალკე შენობა 2100 კვ.მ;** რომელიც განკუთვნილია კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიებისათვის, აღიჭურვა მაღალ ტექნოლოგიური აპარატურით და შესაბამისი ინვენტარით.
ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მკაფიოდ და ცხადად ჩანს უნივერსიტეტის ძალისხმევა კვლევითი საქმიანობისთვის კომფორტული და მაღალი ხარისხის გარემოს უზრუნველსაყოფად.



დიაგრამა 4 გრანტები
14
12
10
8
6
4
2
0
2015, 2
2020, 12
2015
2020


დიაგრამა 5 წიგნადი ფონდი
9000
8000
7000
6000
5000
4000
3000
2000
1000
0
2015, 3684
2020, 8085
2015
2020


დიაგრამა 6 საუნივერსიტეტო გამოცემები
14
12
10
8
6
4
2
0
2015, 2
2020, 13
2015
2020

6. კვლევების ინტერნაციონალიზაცია

უნივერსიტეტმა მნიშნელოვანი სამუშაოები გაატარა კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით 2015 -2020 წლებში. ამ პერიოდის მანძილზე მან პარტნიორობა დაამყარა 30-ზე მეტ საერთაშორისო უნივერსიტეტთან, ჩაატარა 15-მდე საერთაშორისო კონფერენცია და ვორკშოპი, გაწევრიანდა 10-ზე მეტ საერთაშორისო ორგანიზაციაში მათ შორის 2020 წლის ბოლოს გაწევრიანდა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციაში (**EUA**), მოპოვებული აქვს ERASMUS+-ის 6 გრანტი, აშშ საელჩოს საქართველოში ოთხი და ბრიტანეთის საბჭოს ერთი გრანტი, აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფონდებთან, მათ შორის ებერტის ფონდთან, არის ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის **(EPLO),** ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაციის (**ELFA**), მსოფლიო განათლების მომსახურების ორგანიზაციის (**WES**, USA), დიდი ბრიტანეთის მკვლევართა პოტენციალის განმახორციელებელი პროგრამის (**Vitae**) , სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (**AMEE**), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (**WHO**), მსოფლიო საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ პორტალი **(Euraxess)**, გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელი (**UN Global Contact**); სამედიცინო სკოლების ასოციაცია ევროპაში (**AMSE**), შავი ზღვის უნივერსიტეტების საერთაშორისო ქსელის წევრი (**Univer-Sea**). განხორციელებული აქვს პროექტები ასევე უცხოელ მკვლევარებთან ერთად, უნივერსიტეტის სადოქტორო კვლევების ცენტრში მოწვეულია გრენობლის, ალიკანტეს, ნეაპოლის, მიდლსექსის უნივერსიტეტების მკვლევარები. უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა 10-მდე საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი.

უნივერსიტეტი აქტიურად აგრძელებს მუშაობას ინტერნაციონალიზიის მიმართულებით. გამოსაყოფია მიმდინარე პროექტები, რომელსაც განახორციელებს **UCL** (University of London), *პროექტი მოიცავს EEU-ს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერას, კერძოდ, გადამზადებას პროფესიული დოქტორანტურის მიმართულებით სწავლა-სწავლების საკითხებში და გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატები,* აღსანიშნავია, რომ პროექტი დაფინანსებულია UCL-ის მეირ და მისი განხორციელების პერიოდია 2021 წლის მარტი-მაისი.

ასევე, ერთობლივი პროექტი **„Multifunctional Laboratory - Platform and Network for Business Innovation Solutions“** - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU), პრაღის ფინანსებისა და ადმინისტრირების უნივერსიტეტი (University of Finance and Administration), ბუდაპეშტის მეწარმეობის სააგენტო (Enterprise Agency), ლოძის უნივერსიტეტი (University of Lodz) და სლოვაკეთის ჟილინას უნივერსიტეტი (University of Žilina) - განაცხადი წარდგენილია ვიშეგრადის ქვეყნების სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსზე, სადაც პროექტმა პირველი ეტაპი გაიარა წარმატებით.

უნივერსიტეტის რიგი მკვლევარებისა აქტიურად ახორციელებენ სამეცნიერო კვლევებს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მხარდაჭერით, ხოლო ნაწილისთვის კი მიმდინარე გეგმებში პრიორიტეტს წარმოადგენს.

2015 წლიდან დღემდე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ნაშრომების რაოდენობა გაზრდილია 3-ჯერ, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული უცხოელი პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 7-ჯერ, პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტების რაოდენობა გაიზარდა 9-ჯერ, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების

რაოდენობა გააზარდა 10-ჯერ: ERASMUS+ საგრანტო პროექტები გაიზარდა 6-ჯერ, საერთაშორისო კვლევითი პროექტების რაოდენობა გაიზარდა 11-ჯერ.







7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა

უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა წარმოადგენს. იმისათვის, რათა უნივერსიტეტში უწყვეტ რეჟიმში განხორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის ზრდა შექმნილია და დანერგილია კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები, მხარდაჭერის და წახალისების მიზანს წარმოადგენს:

- ახალგაზრდა მკვლევარების და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირება და წახალისება;
- სტუდენტების და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში მონაწილეობის მხარდაჭერა;
- აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა ან/და საერთაშორისო გამოცემებში კვლევის შედეგების გამოქვეყნების ხელშეწყობა;
- კვლევითი პროექტების განხორციელებისათვის კვლევითი უნარების ამაღლება;
- ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში წარდგენილი გამოყენებითი კვლევების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების საკონკურსო პროექტებში მხარდაჭერა;

უნივერისტეტი სტაბილურად და სისტემატურად ახდენს პერსონალის კვლევითი საქმიანობის განვითარების მხარდაჭერას, რისთვისაც შემუშავებულია სხვადასხვა რეგულაციები, კერძოდ

- ✓ **„კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი“**
- ✓ **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის სპეციალური „ბონუს სისტემა”**
- ✓ **„სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“**

აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ ბონუსური სისტემა დაინერგა 2019 წელს და აღნიშნული სისტემით დღემდე უკვე ისარგებლა **78-მა აკადემიურმა პერსონალმა;** კვლევითი საქმიანობის სხვა მხარდაჭერით ისარგებლა **25-ზე მეტმა აკადემიურმა პერსონალმა,** დაფინანსდა 45-ზე მეტი სტუდენტური პროექტი და აქტივობა. 2020 წელს შიდა საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში დაფინანსდა 5 საემცნიერო პროექტი, თუმცა ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ პერსონალის დაბალი **ინფორმირებულობა,** რის შედეგად უნივერსიტეტმა განახორციელა არაერთი აქტივობა დისემინაციის მიმართულებით, რასაც მიმდინარე პერიოდშიც აგრძელებს.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსება არის დივერსიფიცირებული. კვლევის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სხვადასხვა წყაროდან:

- უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევები ბიუჯეტი;
- საგრანტო პროექტებისთვის სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებიდან მოზიდული თანხები;
- არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდები;
- კვლევების კომერციალიზაციით მიღებული შემოსავლები.

2015-2020 წლების საუნივერსიტეტო ბიუჯეტის ოდენობა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით წლიდან წლამდე მზარდია, შესაბამისად მზარდია დაფინანსებული პროექტები და აქტივობებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია კვლევითი ინფრასტრუქტურის

განვითარებისთვის 2019-2020 წლებში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები - 1 005 580 ლარი; რომელიც ძალიან მაღალია და ამ მონაცემის 2015 წელთან შედარება არარელევანტურია. სამეცნიერო გრანტებიდან მიღებული შემოსავლები გაიზარდა თითქმის 3-ჯერ. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მაღალია სხვაობა კვლევითი საქმიანობის მიმართულებით 2015 და 2020 წლების მაჩვენებლებს შორის ბიუჯეტთან მიმართებით. 2020 სასწავლო წელს კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად ბიუჯეტიდან გამოყოფილი 336 000 ლარი, ხოლო 2015 წელს 30 000 ლარი. კვლევითი ბიუჯეტი ასევე მოიცავს დაფინანსებას შიდა საგრანტო პროექტებისთვის - 130 000 ლარი; ცალკეა გამოყოფილი ბიუჯეტი ლაბორატორიების აღჭურვისთვის - 190000 ლარი, ციფრული აპარატურისთვის 290000 ლარი; 2020 წლისთვის მხოლოდ ბონუსური სიტემის დაფინანსების ფარგლებში პერსონალმა მიიღო 108300 ლარი, აღსანიშნავია 2015 წელს დაფინანსების აღნიშნული მოდელი არ არსებობდა და კვლევითი მიმართულებით დაფინანსებულმა რაოდენობამ 2015 წელს 4980 ლარი შეადგინა, უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტები გაზრდილია თითქმის 10-ჯერ, 2020 წლის მაჩვენებლებით საუნივერსიტეტო და აკადემიური პერსონალის გამოცემები დაფინანსდა 29 540 ლარით; სამეცნიერო ადგილობრივი, საერთაშორისო და სტუდენტური კონფერენციები - 138954 ლარი. აღნიშნული ფინანსური მაჩვებლებიც საკმაოდ განსხვავებულია 2015 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილ დაფინანსებების მაჩვენებლებთან. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილებში არ გამოვყოფთ შედარებულ მონაცემებს ინფრასტრუქტურულ ხარჯებთან მიმართებით:

დიაგრამა 10. აკად. პერსონალის მხარდაჭერა-დაფინანსება

დიაგრამა 11. გრანტებიდან და ფონდებიდან მიღებული შემოსავალი



დიაგრამა 13 EEU--ს მიერ საგრანტო პროექტებისთვის დაფინანსების ოდენობა

დიაგრამა 14 გამოცემებში დახარჯული ფულადი ოდენობა



დიაგრამა 15 შიდა საგრანტო პროექტების დაფინანსება





მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის სხვადასხვა მოდელებს კვლევითი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მხარდაჭერა ხორციელდება სხვა მიმართულებითაც, უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას როგორც ინდივიდუალურად, დეპარტამენტის დონეზე, ასევე განმავითარებელი ტრენინგების ორგანიზებით: კვლევებთან დაკავშირებულ საკითხებთან სამართლებრივი, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებასთან, მის შეფასებასა და წარდგენასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ბაზებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მიმართულებით და ა.შ. ამავე დროს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელს უწყობს გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებას და მუდამ მზადაა დაეხმაროს მკვლევარებს ანგარიშების წარდგენის პროცესში. განვლილი პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ რაც უფრო მეტად იზრდება და ვითარდება მხარდაჭერის დონე, შესაბამისად იზრდება უნივერსიტეტის პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობა. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასებამაც ცხადყო, რომ მექანიზმების ერთობლიობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კვლევითი

პოტენციალის განვითარებაში.

8. სოციალური პასუხისმგებლობა

უნივერსიტეტის საქმიანობის მნიშნელოვან მხარეს წარმოადგენს სოციალური პასუხისმგებლობა, შესაბამისად, აღნიშნული მიდგომა ასახულია ასევე კვლევით საქმიანობაშიც. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ხორციელდება კვლევითი პროექტები, რომლებიც თავის მხრივ მიმართულია და ხელს უწყობს როგორც **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას,** ასევე ემსახურება **სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარებას.** უნივერსიტეტის პროგრესი ამ კომპონენტში 2015 წელთან შედარებაც არარელევანტურია, რადგან 2015 წელს მხოლოდ ერთი კვლევითი პროექტი განხორციელდა სოციალური მიმართულებით, ხოლო 2020 წლის ბოლოს მონაცემებით განხორციელებული კვლევების უმრავლესობა პირდაპირ ან ირიბად კავშრშია სოციალურ სფეროსთან, გამოვყოფთ ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევებიდან რამდენიმეს:

- სამეცნიერო პროექტი რომელიც განკუთვნილია ბუნებრივი წყლისა და სარწყავი სისტემის გარეშე დარჩენილი სოფლებისა და ტერიტორიებისთვის: **„საქართველოს მთისპირა სოფლებში სარწყავი წყლის მიწოდების ინოვაციური სისტემა,“**
- ავსტრიის საელჩოში, პროგრამა GRETA-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარდგენილია პროექტი **„მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები საქართველოს მთიან რეგიონებში“.** პროგრამა დაფინასებულია ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ.
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და ნეირო-მეცნიერებების კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევა: **„მედია-სივრცის გავლენა ემოციური და ფსიქოსომატური რეაქციების განწყობებზე“** - რომელიც ეხებოდა საინფორმაციო სივრცის ეკოლოგიას და მის გავლენას ადამიანის ფსიქო-ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.
- ბრიტანეთის საბჭოს 2020 წლის საგრანტო კონკურსის დაფინანსებული**"რასიზმი და ეთნიკური წარმომავლობა ფართო ევროპაში და მისი გავლენა ბრიტანეთის საბჭოზე“.**
- **„COVID 19-ით გამოწვეული შფოთვის განწყობა, მისი ფსიქოსომატური სტრუქტურა და შეცვლა“** - კვლევის მიზანი: ობიექტური, ანუ ფსიქოსომატური რეაქციის გაზომვით ადამიანის ინტროსპექციული მონაცემის გადამოწმება
- **„სოციალური დისტანცირების გავლენები საზოგადოების განწყობებსა და ქცევებზე“** - მომზადდა პოსტ-პანდემიურ გავლენათა კვლევის რამდენიმე მიმართულება, შესწავლილი იქნა გავლენები საკარანტინო რუტინის ცვლილებიდან გამომდინარე ქცევასა და განწყობა.

რასაკვირველია ამ მიმართულებით უნივერსიტეტი აქტიურად აგრძელებს საკუთარ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

9. კვლევითი ეთიკის ნორმების დაცვის მექანიზმები

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმა კვლევითი ეთიკის განვითარების მიმართულებით. უნივერსიტეტში 2015 წლისთვის არსებობდა ,,პლაგიატის გამოვლენის და მასზე რეაგირების წესი“ . განვლილ პერიოდზე დაკვირვებითა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით გადაიხედა და ჩამოყალიბდა **,,პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების წესი“** და შეიქმნა **,,კვლევითი ეთიკისა და**

აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი“, სადაც გაერთიანდა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევითი ეთიკის დაცვის მექანიზმები მკვლევარებთან და დოქტორანტ-სტუდენტებთან მიმართებით, ასევე შეიქმნა კვლევითი ეთიკის კომიტეტი. კოდექსით კონსოლიდირებულად განისაზღვრა უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობაში სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში აკადემიურ კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის ცნების, აკადემიური კეთილსინდისიერების და კვლევის ეთიკის დარღვევის ფორმები, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის დარღვევის პრევენციის და დარღვევის ფორმების გამოვლენის შესაბამისი გამჭვირვალე, თანმიმდევრული, მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურები, აკადემიური კეთილსინდისიერების და კვლევის ეთიკის დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები, დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციული და თანმიმდევრული ზომები, ასევე კვლევის ეთიკის კომიტეტის სტატუსი, მიზნები, საქმიანობის ძირითადი პრინციპები და უფლებამოსილებები. განისაზღვრა კვლევითი ეთიკის სტანდარტები და კვლევითი ეთიკის კომიტეტის რეგლამენტი.

10. სადოქტორო კვლევების განვითარების მექანიზმები

2020 წელს განხორციელდა მნიშნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის, რომ შეიქმნა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული ”**სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი“,** რომლის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში დოქტორანტურის საფეხურზე სწავლა-სწავლება-კვლევის პროცესის უწყვეტი განვითარება და ხელშეწყობა; უნივერსიტეტში განხორციელებული სადოქტორო კვლევების ეთიკის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე ზრუნვა. დოქტორანტების მხარდაჭერა, მათი კვლევითი უნარების და აკადემიური პერსონალის პროფესიული და აკადემიური უნარების განვითარება, დოქტორანტურის საფეხურზე სწავლა-სწავლების სტრატეგიის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, დოქტორანტების სამეცნიერო და საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობის უზრუნველყოფა. მნიშნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რომ სადოქტორო კვლევების ცენტრს ხელმძღვანელობს ბრიტანელი მეცნიერი და განათლების ექსპერტი. ცენტრის ეგიდით უკვე განხორციელდა ფართომასშტაბიანი კვლევა ,,სწავლა-სწავლების პრაქტიკის კვლევა საქართველოში“, კვლევა განხორციელდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აიიპ ,,განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტთან“ ერთად. ცენტრის ეგიდით, ასევე ჩატარდა სამეცნიერო ვორკშოპი ,,Covid-19 და უმაღლესი განათლება: ინტერდისციპლინური პერსპექტივები“; ამჟამად ახორციელებს კვლევას, რომელიც დაფინანსებულის მიერ **”რასიზმი და ეთნიკური წარმომავლობა ფართო ევროპაში და მისი გავლენა ბრიტანეთის საბჭოზე“.** პროექტის მიზანია ფართო ევროპის (WE-Wider Europe) რეგიონის 15 ქვეყანაში (ბოსნია და ჰერცოგოვინა, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, საქართველო, ისრაელი, თურქეთი, უკრაინა, ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, კოსოვო, რუსეთი, სერბეთი, და უზბეკეთი) რასიზმისა და ეთნიკური წარმომავლობის შესახებ არსებული ცნებების კვლევა და ანალიზი, ბრიტანეთის საბჭოს ფართო ევროპაში მიმდინარე პროცესებზე მომუშავე პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობა, როგორც პასუხი ახლად შემუშავებული გლობალური ანტი-რასისტული ვალდებულებისა.

მისასალმებელია და ფრიად აღსანიშნავი ფაქტია, რომ სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრის უშუალო ხელშეწყობით უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტუდენტის ზ. ჯანხოთელის პუბლიკაცია გამოქვეყნდა მინისოტას უნივერსიტეტის (აშშ) საერთაშორისო ატლასში. მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი 2020 წლის სექტემბრიდან შეიქმნა, აქტივობებიდანაც ჩანს, რომ მისი როლი და მნიშვნელობა ძალიან მაღალია სადოქტორო კვლევების განვითარების მიმართულებით.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში განახლდა სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, შეიქმნა დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, მკაფიოდ ჩამოყალიბდა და განისაზღვრა დოქტორანტის ხელმძღვანელის ფუნქციები, შეიქმნა დოქტორანტის გზამკვლევი, გაიწერა დოქტორანტების კვლევითი უნარების განმავითარებელი სპეციალური ტრენინგების ციკლი, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობით.

11. ინოვაციები სამედიცინო განათლებაში

მნიშვნელოვანია, რომ **ჯანდაცვის მეცნიერებების ფაკულტეტზე** იზრდება ლაბორატორიების რაოდენობა, 2017 წლიდან დაიწყო აღნიშნული პროცესი და ამჟამად მომქმედი *,,მიკრობიოლოგიისა“* და *,,ბიოქიმიის“* ლაბორატორიების შემდეგ იქმნება *,,ჰისტოლოგიისა და უჯრედული ბიოლოგიის* ლაბორატორია“; შეიცვალა ამაჟამად მოქმედი ,,კლინიკური უნარების ცენტრის“ ფორმატი, რომელსაც დაემატა ახალი აღჭურვილობა და დღეს წარმოადგენს *,,სიმულაციურ ლაბორატორიას“*, ასევე, შეიქმნა ახალი **ანატომიური ლაბორატორია** - ***,,ანატომიური კაბინეტი“***, რომელიც უმაღლესი ხარისხის თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა. ფაკულტეტზე სასწავლო-კვლევითი საქმიანობისა და ლაბორატორიული სამუშაოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული ერთეული - ***,,კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითრების ცენტრი“***, რომლის შემადგენლობაში შევიდა ზემოთ ხსენებული ყველა ლაბორატორია. ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე აპარატურით, ინვენტარითა და ხელსაწყოებით. გამოსაყოფია ფაკულტეტის მნიშვნელოვანი წინსვლა **სწავლა-სწავლების ინოვაციურ მეთოდებში,** კერძოდ, ,,ანატომიური კაბინეტის“ საშუალებით.

- **ანატომიური კაბინეტი**

კაბინეტში განთავსებულია **,,ინტერაქტიული ანატომიური მაგიდა“,** რომელიც საშუალებას იძლევა ადამიანის სხეულის რეალურ ზომებში, **3D ფორმატით მოხდეს ორგანიზმის 11 სისტემის** სწავლება (ანატომიური, ჰისტოლოგიური, პათოლოგიური, რადიოლოგიური, ტრავმატოლოგიური, ენდოსკოპიური და სხვა მიმართულებებით).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინოვაციური აპარატის საშუალებით, დიდ ეკრანზე 3D ფორმატში მიმდინარეობს სწავლება და ამავე დროს შიდა უწყვეტი ინტერნეტ-კავშირით ხდება დაკავშირება სხვა **აუდიტორიებში არსებულ სენსორულ დაფებთან,** რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ერთდროულად ყველა მიმართულებით ერთი და იმავე დროს ჩატარდეს სააუდიტირიო მეცადინეობები. ასევე, მაგიდას შეუძლია არა მხოლოდ სტატიკური, არამედ მოძრავი გამოსახულებების შექმნაც, მაგალითად იგი აღჭურვილია გულის ანიმაციური მოდელით, რაც

ახდენს გულისცემის ბუნებრივ სიმულაციას და იძლევა „მფეთქავი“ გულის სხვადასხვა მხრიდან შემოტრიალებისა და მის სხვადასხვა ჭრილში ნახვის საშუალებას.

მაგიდის **რადიოლოგიური რეჟიმის** საშუალებით შესაძლებელია, ორგანიზმის სხვადასხვა სეგმენტის კომპიუტერულ ტომოგრაფიული (CT) და მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიული (MRT) გამოსახულებების გენერირება, ხოლო ენდოსკოპიური სწავლების რეჟიმი სტუდენტებს და პედაგოგებს აძლევს საშუალებას დაათვალიერონ ორგანოების ღრუ, მაგალითად საყლაპავი მილისა და კუჭის შიგნითა მხარე სიმულაციური ზონდისა და მასზე დამაგრებული სიმულაციური კამერის საშულებით, როგორც ფიზიოლოგიურ ასევე რაიმე პათოლოგიის არსებობის შემთხვევაში.

გარდა ამისა, მაგიდას გააჩნია **გვამების კვეთის სიმულაციის უნარი** რაც სტუდენტებს აძლევს სისტემური, ტოპოგრაფიული და რეგიონული ანატომიის სხვადასხვა ჭრილში სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას. ანატომიური მაგიდის მძლავრი პროგრამა ასევე აღჭურვილია **ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული** გამოსახულებების სასწავლო აპლიკაციებით, რაც იძლევა მოტეხილობებისა და ტრავმების შემთხვევაში ძვლების და დაზიანებული უბნების რეკონსტრუქციის თუ პროთეზირების წინა საოპერაციო დაგეგმვის ციფრულ სიმულაციას.

ანატომიური მაგიდის მეშვეობით, გარდა **ქსოვილების, ორგანოებისა და მათი სისტემების სხვადასხვა რეჟიმში ვიზუალური დემონსტრირებისა,** შესაძლებელია მაგიდის ზედაპირზე სენსორულად ტექსტური მონიშვნებისა და მინაწერების გაკეთება ეკრანზე არსებული სურათის და გამოსახულების პარალელურად. მრავალფუნქციური მაგიდა, ასევე იძლევა სტუდენტების მიერ მიღებული **ცოდნის შემოწმების საშუალებასაც** პროგრამაში ჩატვირთული სხვადასხვა ტიპის კითხვების, ტესტებისა და ქვიზების საშუალებით. ასევე შესაძლებელია კითხვების არსებული მარაგის მუდმივი შევსება და განახლება. ,,ანატომიური კაბინეტი“ ფუნქიონირებას იწყებს გაზაფხულის სემსტრიდან, რაც მნიშნელოვნად განავითარებს საგანმანათლებლო პროცესს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანდემიის პირობებში სწავლების ხარისხის განვითარებისთვის.

12. უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიული გეგმა

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია კვლევითი საქმიანობის განვითარება, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის გრძელვადიანი 2019-2025 წლების სტრატეგიულ გეგმა, სადაც კვლევითი საქმიანობის განვითარება მე-2 სტრატეგიული პრიორიტეტად არის გამოყოფილი. გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში კვლევითი საქმიანობის განვითარება, თავის მხრივ მოიცავს ოთხ ინიციატივას:

- კვლევითი სტრატეგიის განვითარება და განხორციელება
- ინფრასტრუქტურის განვითარება გამოყენებითი კვლევების მხარდასაჭერად
- კვლევითი კულტურის დანერგვა
- კვლევითი პროდუქტიულობის ზრდა

ყოველი ამ ინიციატივის შიგნით დაგეგმილია სხვადასხვა სახის ამოცანები, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის 2019-2021 წლების სამწლიან სამოქმედო გეგმაში. წინამდებარე დოკუმენტში ზემოთ აღწერილი საქმიანობა ბოლომდე პასუხობს უნივერსიტეტის სტრატეგიული და

სამოქმედო გეგმებით დასახულ ამოცანებს და დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, აღარ გამოვიტანთ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი შესრულებულ და მიმდინარე შესრულებაში მყოფი ამოცანების მაჩვენებლებს, რადგან ჩვენი გადამოწმების შედეგად ვადგენთ, რომ ჯერჯერობით ძირითად ნაწილში ადეკვატურად მიმდინარეობს უნივერსიტეტის საქმიანობა გეგმებით დასახული ამოცანების შესასრულებლად. ამავე დროს, იმის გათვალისწინებითაც, რომ სამწლიანი გეგმის დასრულებამდე კიდევ ერთი წელია.

13. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, კვლევითი პრიორიტეტები, მიმდინარე და დაგეგმილი

უნივერსიტეტის 2019-2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია ეფუძნება უნივერსიტეტის გრძლვადიანი განვითარების სტრატეგიას და ორიენტირებულია ოთხ სტრატეგიულ პრიორიტეტზე:

- კვლევები დაფუძნებული უნდა იყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო პრიორიტეტებზე; ხორციელდება ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების მიმართულებით როგორც ინდივიდუალურ, ასევე დისციპლინურ და ინტერდისციპლინური კვლევით კონტექსტში.
- კვალიფიციური სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა, შენარჩუნება და სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება კვლევითი კულტურის განვითარებისა და დანერგვის მიზნით, რაც, თავის მხრივ, აფართოებს ჩვენს კვლევით შესაძლებლობებსა და კვლევების ხარისხს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.
- კვლევების მართვის ეფექტიანი სისტემის განვითარება, რომელიც ორიენტირებული არის ანგარიშვალდებულების, კონტროლის, მხარდაჭერის ღია და გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვაზე.
- კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების/ლაბორატორიების აღჭურვას, საბიბლიოთეკო რესურსებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების განვითარებას, თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფას და ა.შ. რაც შეესაბამება ჩვენს სწრაფვას - შევუქმნათ მკვლევრებს საუკეთესო გარემო.

ყოველ ამ ინიციატივის შიგნით დაგემილია სხვადასხვა სახის ამოცანები, რომელიც აისახა უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სამოქმედო გეგმაში. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტების, დაგეგმილი და მიმდინარე კვლევების განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა მომავალში მათი მხარდაჭერის მიზნით.

ქვევით წარმოდგენილია ინფორმაცია მიხედვით კვლევითი პრიორიტეტები, მიმდინარე და დაგეგმილი კვლევების შესახებ ფაკულტეტებისა და კვლევითი ცენტრების.

13.1. იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები

ფაკულტეტზე სამართლის მიმართულებით კვლევითი საქმიანობა მიმდინარეობს კერძო, საჯარო, სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მიმართულებით. ხორციელდება პროფილური კვლევები ქართული სამართლის ისტორიის, სამოქალაქო საპროცესო სამართლის, საკორპორაციო, საოჯახო-მემკვიდრეობითი, საბანკო, საფინანსო, სახელშეკრულებო, საგადასახადო სამართლის მიმართულებით. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში შრომის, საკუთრების უფლების დაცვის მიმართულებით. ასევე მომზადდა და გამოიცა სტატიებისა და სახელმძღვანელოების სახით ნაშრომები სისხლის სამართალში, როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო სამართალში. გარდა ამისა, ფაკულტეტზე კვლევები ხორციელდება საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით რეგიონალური და საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის კუთხით.

2. მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევით პროექტები

- მოხელის უფლებამოსილების შეჩერების საკანონმდებლო საფუძვლები.
- „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“
- new Regulation on jurisdiction, recognition and enforcement in matrimonial matters and in matters of parental responsibility“
- *Cooperation between central authorities and between judges;*
- ,,გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაარსებული დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალების გავლენა საერთაშორისო სისხლის სამართალზე გენოციდის მაგალითზე“
- ,,გენოციდის დანაშაული ქართულ სამართლებრივ სივრცეში“ და ,,გენოციდი თუ ეთნიკური წმენდა: საქართველოს მაგალითი“.
- არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აქტუალური საკითხები.
- თვითმკვლელობაში დახმარების დასჯადობის პრობლემატიკა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში
- სამოქალაქო საპროცესო სამართლის რჩეული მუხლების კომენტარები;
- სახელმძღვანელო ჯანდაცვის სამართალში
- სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე
- ქართული მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის ცალკეულ პრობლემებთან დაკავშირებით
- საჯარო მოხელის უფლებამოსილების შეჩერება და მისი საკანონმდებლო რეგულირება.
- თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში;
- ქართულ-გერმანული სამეცნიერო კონფერენცია სისხლის სამართალში

- სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართლის ტესტების დამხმარე სახელმძღვანელო;
- დამხმარე სახელმძღვანელო კრიმინოლოგიაში;
- საქართველოს ეროვნული ნარატივის მშენებლობა ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე;

13.2. ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

1. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები

ფაკულტეტზე კვლევითი საქმიანობა ხორციელდება შემდეგი მიმართულებით: ბიზნეს-ინოვაციების ხასიათი და მათი შედეგები ქართულ ფირმებში. ბიზნეს-საქმიანობის პრაქტიკის ცვლილებების ტენდენციები ახალი მიდგომების და ტექნოლოგიების მიღება და გამოყენების გამოსავლენად. ბიზნესთან დაკავშირებულ სერვისების, მეთოდებისა და მმართველობის პროცესები და შედეგები და მათი გაუმჯობესების გზები. ბაზრების ფუნქციონირება და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გავლენას საზოგადოების ფორმაციაზე. ფინანსური, შრომისა და სასაქონლო ბაზრების ფუნქციონირებასა და მათ შორის ურთიერთკავშირი ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში.

ფაკულტეტზე, ასევე კვლევა ხორციელდება განათლების მიმართულებით, კერძოდ სწავლა-სწავლება და მეთოდები, განათლება და სქესი, სწავლების მოტივაცია, ჩართულობა და გამძლეობა. ფორმალური, არაფორმალური და სამუშაო ადგილზე მიღებული განათლება

2. მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევით პროექტები

- საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მხარდაჭერა სწავლა-სწავლების განვითარების მიმართულებით
- საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში;
- ღვინის ტურისტების სეგმენტაცია;
- Higher Education Development Trends and Existing Challenges“;
- „ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამაღლების უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორები“
- „საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების საქმიანობა და მათი სრულყოფის საკითხები“
- „ინოვაციური პოტენციალის ამაღლების უმთავრესი პირობები
- M2 ფულის მასის ზრდისა და მაკროეკონომიკური პარამეტრებს შორის კავშირი

- კულტურული დისტანციის გავლენა ქართული ფირმების ინტერნაციონალიზაციის პროცესზე;
- ,,უმაღლესი განათლების გავლენა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე".
- ტოპ მენეჯმენტის მახასიათებლების გავლენა ქართული ფირმების ინტერნაციონალიზაციის პროცესზე
- „მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები საქართველოს მთიან რეგიონებში",
- Multifunctional Laboratory - platform and network for business innovation solutions
- Challenges of Regional Trade in South Caucasus to meet WTO Arrangements

13.3 ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები

ჯანდაცვის ფაკულტეტზე კვლევა ფოკისირებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ნეიროდეგენერაციული დაავადებები, ახალი ბიოთავსებადი და ბიოდეგრადირებადი ბიოპოლიმერების, როგორც პოტენციური საყრდენების ტესტირება; ძუძუს კიბო და თავ-კისრის გავრცელებული სიმსივნეები, ონკოგენეტიკა; ლიპიდური ცვლის როლი კარდიოვასკულური დაავადებების განვითარებაში.

მკვლევართა გუნდი ასევე დაინტერესებულია თუ რა როლს ასრულებს იმუნური სისტემა ჯანმრთელობისთვის, ასევე, იმუნური სისტემა ანთების, მიკრობული (განსაკუთრებით, სოკოვანი) ინფექციებისა და დაავადებების დროს. ჩვენ შევისწავლით დაავადების გენეტიკასა და ბიოქიმიას იმისთვის, რათა აღმოვაჩინოთ საკვანძო მოლეკულები, რომლებიც მონაწილეობენ ანთებითი სიგნალიზაციის პროცესში ქრონიკული და მწვავე მდგომარეობების დროს, ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული პათოგენების, ფაგების ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა, ახალი ფაგების მოძიება.

მათემატიკური და ბიოლოგიური მოდელირების, გენომების გამოთვლითი ანალიზისა და უახლესი ლაბორატორიული მიდგომების გამოყენებით, ჯანდაცვის ფაკულტეტის მკვლევართა გუნდი ახდენს r-გენების ლოკალიზაციის 3D სტრუქტურას, დინამიურ მოდელირებას და ტრანსკიფციას და rRNA-ის დამუშავებისა და პრერიბოსომული აწყობის საიტები (ბირთვი) სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედების პასუხად.

ჯანდაცვის ფაკულტეტის მკვლევართა ჯგუფისათვის ასევე პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის, შფოთვის, დეპრესიული აშლილობებისა და კოგნიტური ნეირომეცნიერებების საკითხები.

2. მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევით პროექტები

- მძიმე მეტალებით ეკოსისტემის დაბინძურებასთან დაკავშირებული მოსახლეობის ინტოქსიკაციის და ონკოლოგიური დაავადებების რისკების შეფასება
- საქართველოს უნივერსიტეტებში ურთიერთობების და სექსუალური ჯანმრთელობის განათლება;

- ნეიროდეგენერაციული დაავადებები (ალცჰეიმერის დაავადება, პარკინსონის დაავადება, აუტიზმი);
- ახალი ბიოთავსებადი და ბიოდეგრადირებადი ბიოპოლიმერების, როგორც პოტენციური საყრდენების ტესტირება (სინთეზირებული პროფ. ქაცარავას მიერ);
- ადამიანის ქორიონული გონადოტოპინის β სუბერთეულზე დაფუძნებული ანტიჰისტამინური ვაქცინის შექმნა;
- რადიოლოგიური და კლინიკური ნიშნების და დაავადების სტადიების კორელაცია კოვიდ პაციენტებში;
- გარემოს ეკოლოგიური დაბინძურება მძიმე მეტალებით და მონიტორინგი;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა, შფოთვითი და დეპრესიული აშლილობები, კვებითი აშლილობები ახალგაზრდებში;
- პარკინსონის დაავადების გენეტიკური არქიტექტურა;
- პირველადი იმუდეფიტი ბავშვებში;
- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სოციუმთან ადაპტაციის შესაძლებლობები;
- წამალი, მისი ადმინისტრირება და გავლენა ადამიანის ორგანიზმზე, ზოგადად სოციუმზე; წამალი და საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
- სექსუალური ჯანმრთელობის განათლება, ჯანმრთელი უნივერსიტეტების პოტენციალის შესწავლა;
- კლაინფელტერის სინდრომი, მკურნალობის სტანდარტები ჰიპოგონადიზმის მქონე მამაკაცებში
- r-გენების ლოკალიზაციის 3D სტრუქტურა, დინამიური მოდელირება და ტრანსკიფცია;
- rRNA-ის დამუშავებისა და პრერიბოსომული აწყობის საიტები (ბირთვი) სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედების პასუხად;
- პროფესიულ კომპეტენციებზე დამყარებული სწავლება დიპლომამდელი და პოსტდიპლომური განათლების სტადიებზე;
- სისხლის თვისებების თერმოდინამიკა, კალორიმეტრის მართვა კომპიუტერის საშუალებით;
- სანაღვლე გზების პათოლოგიები, სიყვითლეები;
- კოგნიტური ნეირომეცნიერებები;
- ღვიძლის ჰეპატოცელულარული კარცინომის სისხლში მოცირკულირე მოლეკულური მარკერები;
- ლიპიდური ცვლის როლი კარდიოვასკულური დაავადებების განვითარებაში;
- ძუძუს კიბო და თავ-კისრის გავრცელებული სიმსივნეები; სიმსივნეთა ოჯახური ისტორია და რისკები, ონკოგენეტიკა;

13.4. ფსიქოლოგიისა და ნეირო-მეცნიერებების კვლევითი ცენტრი

1. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები

ნეირომარკეტინგული მიმართულებით მომხმარებლის ქცევისა და მარკეტინგულ სტიმულებზე მომხმარებელთა რეაგირება; მსოფლიოში წამყვანი ნეიროტექნოლოგიური აპარატურის გამოყენებით სამეცნიერო არეალის გაფართოვება, პიროვნების და ჯგუფების ქცევის თავისებურებებს შესწავლა არსებული გამომწვევებიდან გამომდინარე. საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან სამეცნიერო კოლაბორაციასა და ერთობლივ საგრანტო პროექტებზე მუშაობა.

2. მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევით პროექტები

- „ტრენინგ ინდუსტრიის კვლევა“ - ტრენერთა ასოციაცია და „ლაბორატორია Z“ ატარებს ინტერნეტ გამოკითხვას, რომლის მიზანია დადგინდეს ტრენინგ ინდუსტრიის გამოწვევები და ახალი ტენდენციები კორონა ვირუსთან მიმართებაში. კვლევა საზოგადოებას დაეხმარება არსებული რეალობის უკეთესად შეფასებასა და მომავალის დაგეგმვაში;
- COVID 19-ით გამოწვეული შფოთვის განწყობა, მისი ფსიქოსომატური სტრუქტურა და შეცვლა“ - კვლევის მიზანი: ობიექტური, ანუ ფსიქოსომატური რეაქციის გაზომვით ადამიანის ინტროსპექციული მონაცემის გადამოწმება. კვლევა ტარდება პოლიგრაფის აპარატის გამოყენებით.
- VR სწავლების ტექნოლოგიები - შემუშავებულია კვლევითი პროექტი რომელზე დაყრდნობითაც მზადდება VR სასწავლო პროგრამა, რომლის ეფექტურობა დამტკიცებული იქნება ლაბორატორიის ნეიროტექნოლოგიური აპარატურის საშუალებით.
- ტრენინგ ინდუსტრიის გამოწვევებისა და ახალი ტენდენციების დადგენა კორონა ვირუსთან მიმართებაში.
- COVID 19-ით გამოწვეული შფოთვის განწყობა, მისი ფსიქოსომატური სტრუქტურა და შეცვლა“
- მულტიდისციპლინურ გუნდებთან ინოვაციურ პროექტებზე ერთობლივი მუშაობა (ხელოვნური ინტელექტის განვითარება და მისი გამოყენება მეცნიერებაში), ფართომასშტაბიანი ქცევითი ექსპერიმენტების ორგანიზება და მათი შედეგების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენა;

13.5. ვ. ჩერქეზიშვილის სახ. ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი

1. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები

საქართველო, როგორც პოსტკოლონიური ქვეყანა. რუსეთის იმპერიის 117 წლიანი მმართველობა სწრაფად ჩანაცვლდა ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმით, რომელმაც შვიდი ათეული წელი იარსება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელმა საქართველომ გლობალურ, ახალი და რთული გამოწვევებით აღსავსე სამყაროში შეაბიჯა. განვითარების ამ პროცესს აუცილებლობით თან სდევს ძველი - კოლონიური და საბჭოთა პერიოდის - იდეებისა და დისკურსების რეინტერპრეტაცია ახალი, პოსტსაბჭოთა/პოსტ-ტოტალიტარული საზოგადოების წიაღში. ამავე დროს, მთელი რიგი ძალაუფლებრივი დისკურსები, რომლებიც ჯერ კიდევ

კოლონიურ პერიოდში არიან ჩამოყალიბებული, შეცვლილი სახით ისევ აგრძელებენ არსებობას და ასიმეტრიული ძალაუფლებრივი მიმართებების განმტკიცებას უწყობენ ხელს (როგორც საერთაშორისო, ასევე, ინტერკულტურულ დონეზე).

2. მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევით პროექტები

- საქართველო ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე: წარმოსახვითი გეოგრაფიები და ინტერკულტურული დიალოგი;
- ადგილების პოლიტიკა საბჭოთა/სოციალისტურ და პოსტსაბჭოთა/პოსტსოციალისტურ საზოგადოებებში: საქართველო და პოლონეთი
- მერაბ მამარდაშვილის ინტელექტუალური მემკვიდრეობა პოსტსაბჭოთა ჭრილში
- ნაციონალიზმი თუ პატრიოტიზმი? ნაციონალიზმის თავგადასავალი საქართველოში
- გლობალური კაპიტალიზმი და საქართველო: გამოწვევები და პერსპექტივები
- პოლიტიკისა და სამართლის ფილოსოფია: ორმხრივი დიალოგი

13.6. საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის ინსტიტუტი

1. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები

ისტორიულად, საქართველო მისი გეოგრაფიული თავისებურებებიდან, გლობალური და საერთაშორისო ურთიერთობის ადგილისა და როლიდან გამომდინარე, ხმელთაშუა და შავი ზღვის ასპარეზის საზღვაო სახელმწიფოა. საქართველომ ეს სტატუსი დაიმსახურა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის შავ ზღვაზე გასვლის და საზღვაო საზღვრების განფენილობის მიხედვით, ასევე შავი ზღვის შესწავლის პერსპექტივით, საზღვაო ტრანსპორტის ნაოსნობის, ევროპასა და აზიის შორის ბუნებრივი დერეფნის განვითარებით. გამოდინარე აქედან, მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმების და პრინციპების შესწავლა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს მსოფლიო ოკეანის კვლევის და გამოყენების საქმეში. საერთაშორისო საზღვაო სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის დარგი, ეფუძნება მის საერთო დებულებებს, მაგრამ აქვს თავისი სპეციფიკური პრინციპები. სწორედ ამ სპეციფიკიდან ინსტიტუტი დაკავდება ისეთი საკითხების შესწავლაში როგორიცაა: სახელმწიფოების თანაბარი უფლება მსოფლიო ოკეანეების გამოყენების საქმეში, სახელმწიფოს განსაკუთრებული იურისდიქცია თავისი დროშის ქვეშ მცურავ გემებზე და სხვა.

2. მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევით პროექტები

- საერთაშორისო საზღვაო სამართლის მიმართულებები
- დასავლური ორგანიზაციების მხრიდან მზარდი ინტერესის გათვალისწინებით შავი ზღვის აუზში მიმდინარე მოვლენების ანალიტიკური კვლევა და აღნიშნულ თემაზე საკუთარი ხედვებისა და ანალიტიკური დასკვნების შემუშავება.
- საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები,
- სემინარები და მრგვალი მაგიდები;

13.7. არქიტექტურის კვლევითი-საპროექტო ბიურო

1. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები

მდინარე მტკვარი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ქალაქწარმომქნელ ფაქტორს, რომელიც ახდენს გავლენას თბილისის ისტორიული განაშენიანების აღდგენა-განვითარებაზე. ქალაქის ისტორიული უბნები ვიზიტორთა მიზიდულობის ყველაზე ძლიერ არეალს შეადგენენ და ტურისტული ინფრასტრუქტურის პოტენციალის მაპროფილებელ სივრცეებად. დღის წესრიგში დგება პროფილური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულების აუცილებლობა; ამ კვლევის შედეგების განზოგადება მოამზადებს საფუძველს ჰოლისტიკური მოდელის შექმნისთვის კონკრეტული ურბანული კონცეპტით, საპროექტო წინადადებებებით და შესაბამისი საინვესტიციო დაგეგმარებით. განსაზღვრულია ჰოლისტიკური მოდელის წარდგენა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული და არქიტექტურული სამსახურებისთვის.

2. მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევით პროექტები

- ეფექტური არქიტექტურული პროექტირება და ქალაქმშენებლობა ახალი ეკონომიკური რეალიების პირობებში;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები ისტორიული განაშენიანების პირობებში.
- „მდინარე ისტორიულ ქალაქში, როგორც ტურისტული ინფრასტრუქტურის განმსაზღვრელი. ახალი რეალიები“

13.8. მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრი

1. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები

ბოლო პერიოდის განმავლობაში მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა მიგრაცია. წლებთან ერთად საზღვრები ქვეყნებს შორის უფრო და უფრო უხილავი ხდება. ადამიანებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. დასაქმების ბაზარი, ისევე როგორც განათლების ბაზარი გლობალური გახდა და ადამიანებს აღარ უწევთ არჩევანის გაკეთება მხოლოდ საკუთარ სამშობლოში არსებული შრომის ან განათლების ბაზრის პირობების გათვალისწინებით. სამამულო განათლების სისტემას და დამსაქმებლებს კი უწევთ კონკურენცია გაუწიონ დანარჩენ მსოფლიოს, რათა მოიპოვონ საუკეთესო კადრები და მიაღწიონ მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეს. თუმცა ერთი საკითხია დამსაქმებლების და დასაქმებულების ბენეფიტები და მეორეა რამდენად სასარგებლოა მიგრაცია ქვეყნის განვითარებისთვის. ამგვარად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე მიგრაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე ცენტრი დაკავებული მიგრაციის ისეთი საკითხების შესწავლით, როგორიცაა მიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე; კოვიდ-19 და შრომითი მიგრაცია; მიგრაციის გავლენა

დემოგრაფიულ პროცესებზე; მიგრაციული პროცესები და ოჯახური კავშირები; ქართული დიასპორის ინტელექტუალური და ეკონომიკური პოტენციალის კვლევა;

2. მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევით პროექტები

- მიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე;
- კოვიდ-19 გავლენა შრომით მიგრაციაზე;
- მიგრაცია და ტრეფიკინგი;
- ვიზალიბერალიზაცია და მიგრაციის მართვა;
- ურთიერთკავშირი მიგრაციასა და განვითარებას შორის;
- მიგრაციით გამოწვეული ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენა საზოგადოებაზე;
- მიგრანტთა ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის პროცესები საქართველოში;
- ცირკულარული მიგრაციის პოტენციალი და მისი განვითარების შესაძლებლობები;
- მიგრაციის გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე;
- მიგრაციული პროცესები და ოჯახური კავშირები;
- მიგრაციის ზეგავლენა მშობლების მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი ბავშვებისა და მოზარდების განვითარებაზე;
- შრომითი მიგრაცია და შრომითი მიგრანტების უფლებები;
- საგანმანათლებლო მიგრაციული პროცესები და რეინტეგრაციის შანსები;
- მიგრაციის გავლენები ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებზე და მათ უფლებებზე;
- პროფესიული განვითარების ფაქტორები დიასპორულ ჯგუფებში;
- დიასპორების პოტენციალი სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჭრილში;
- ქართული დიასპორის ინტელექტუალური და ეკონომიკური პოტენციალის კვლევა;
- დიასპორული ჩართულობის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისათვის.

13.9. მრავალფუნქციური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

1. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები

მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემების იდენტიფიკაციისა და მათი გადაწყვეტის გზები; კერძოდ ცენტრი მოიცავს ბიზნეს აქსელერატორს, ბიზნესის პრობლემათა პლატფორმასა და მასთან ინტეგრირებულ საკომუნიკაციო - საინფორმაციო ქსელს. ბიზნესის პრობლემათა პლატფორმაზე ბიზნესის (ძირითადად მცირე და საშუალო) რეგისტრაციის შემდეგ ათავსებენ განაცხადს მათ წინაშე არსებული პრობლემის გადაწყვეტაზე. პლატფორმაზე დარეგისტრირებული ექსპერტების ჯგუფები პლატფორმაზე ათავსებენ თავიანთ წინადადებებს ბიზნეს-პრობლემების გადასწყვეტად. ბიზნეს ეძლევა საშუალება ამოარჩიოს მათთვის ყველაზე მისაღები წინადადება და გააფორმოს ექსპერტებთან ხელშეკრულება. ბიზნესის მხრიდან აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის შეთავაზების მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ექსპერტებს (დოქტორანტებისა და მაგისტრანტების მონაწილეობით) პრობლემის დამუშავებისას ექნებათ წვდომა აქსელერატორზე და საკითხის განსახილველად საჭირო მრავალფუნქციურ მოწყობილობაზე. წარმოდგენილი სისტემა ინოვაციურია და დიდ შესაძლებლობებს ქმნის პრობლემის ყოველმხრივი განხილვისა და შეჯერებული შედეგის მისაღებად.

2. მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევით პროექტები

- „საქართველოს მთისპირა სოფლებში სარწყავი წყლის მიწოდების ინოვაციური სისტემა,“
- „მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები საქართველოს მთიან რეგიონებში“.
- „Multifunctional Laboratory - Platform and Network for Business Innovation Solutions

14. SWOT ანალიზი

სამეცნიერო-კვლევითი გარემოს **SWOT** ანალიზი შემუშავდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის როგორც სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და სამეცნიერო აქტივობების შეფასებების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი ცენტრები ეწევიან აქტიურ მუშაობას, უნივერსიტეტში გაძლიერდა კვლევის მხარდამჭერი მექანიზმები და გაიზარდა კვლევების დაფინანსების ბიუჯეტი, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის მაჩვენებელი რამდენიმე პარამეტრში გასაუმჯობესებელია, კერძოდ, ცალკეული შემთხვევების გარდა ჯერ კიდევ **არც ისე მაღალია მეცნიერ/მკვლევართა ციტირების ინდექსის მაჩვენებლები და იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში პუბლიკაციების რაოდენობა.** მისასალმებელია, რომ შევძელით მნიშვნელოვანი სამუშაოების გატარება ამ მიმართულებით, კერძოდ 2020 წელს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო პორტალებზე მათი პროფილებისა და ნაშრომების განთავსების მიმართულებით, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას შექმნის მომავალში გაიზარდოს პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო ცნობადობა და რაც თავის მხრივ, შესაბამის პერიოდშიც აისახება ციტირების მაჩვენებლებზეც. დასახული გვაქვს აქტიურად გავაგრძელოთ ამ მიმართულებით მუშაობა და დავამატოთ ერთი ოფციაც, კერძოდ, პერსონალის მიერ უახლესი ქართულ ენაზე გამოცემული პუბლიკაციები ითარგმნოს ინგლისურ ენაზეც და აიტვირთოს შესაბამის სამეცნიერო პორტალებზე. ასევე, **ვსაჭიროებთ მეტ ძალისხმევას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევარების ჩართულობის მიმართულებით.** უთუოდ ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოპების მიმართულებით აქტიური საქმიანობა და მათ შორის საერთაშორისო ღონისძიებები, მაგრამ გასაუმჯობესებელი გვაქვს ასეთ **აქტივობებში გაიზარდოს ჩართული სტუდენტების რაოდენობა.** მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა სადოქტორო კვლევების განვითარებისა და მხარდაჭერის მიმართულებით ახალი ცენტრის შექმნითა და უცხოელი კვალიფიციური პერსონალის ჩართვით, რეგულაციების განვითარებით პლაგიატის გამოვლენასთან, კვლევის ეთიკის ნორმებთან და ეთიკის კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით, ასევე, საერთაშორისო ანტიპლაგიატის პროგრამის ,,Turntin" დამატებით, ამ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანია, **ახალი რეგულაციების დანერგვის პროცესი წარვმართოთ ეფექტიანად,** აღნიშნული პროცესი დაწყებულია და კიდევ უფრო გავაძლიერებთ აქტიურ საკონსულტაციო შეხვედრებს, როგორც დოქტორატებთან და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, ასევე პერსონალთან **ახალი ანტიპლაგიატის საერთაშრისო პროგრამის გამოყენებისა** და **კვლევის ეთიკის**

ნორმების სიღრმისეულად გათვითცნობიერების მიზნით. ასევე, გავაგრძელებთ უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის **მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ დისემინაციის** პროცესს აკადემიურ პერსონალსა და მკვლევარებში. გავაუმჯობესებთ უნივერისტეტის **სამეცნიერო ჟურნალის პოპულარიზაციისათვის** სამუშაოებს.

აქტიურად ვახორციელებთ და მაღალი პასუხისმგებლობით ვუდგებით უნივერსიტეტის სამოქმედო და კვლევითი საქმიანობის გეგმებით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.

ძლიერი მხარე	გასაუმჯობესებელი მხარე
საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზების გამოცდილება	სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა
საეთაშორისო პარტნიორთა მზარდი მაჩვენებელი	კვლევების ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელი
კვალიფიციური აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი	აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვლევით პროექტებში დაბალი ჩართულობა
აფილირებული და აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ოპტიმალური თანაფარდობა	კვლევების კომერციალიზაცია
საუნივერსიტეტო სამეცნიერო ჟურნალი	EEU -ს ჟურნალის ცნობადობა
უნივერსიტეტის მზაობა სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმები	საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი
საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა	მაღალ (რეიტინგულ) იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციათა რაოდენობა და დაბალი ციტირება
გამოცდილი ადმინისტრაციული პერსონალი	კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ პერსონალის ინფორმირებულობა
კვლევითი ინფრასტრუქტურა	
კვლევითი საქმიანობისა და სადოქტორო კვლევების განვითრების ხელშემწყობი საუნივერსიტეტო რეგულაციები და მექანიზმები	
შესაძლებლობები	**საფრთხეები**

სამეცნიერო-კვლევით სფეროში თანამშრომლობის ქსელის გაფართოება	ქვეყნისა და საერთაშორისო პოლიტიკურ/ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება;
აკადემიურ პერსონალისათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები	არასათანადოდ გაწეული სამუშაოების შედეგად გამოწვეული რეპუტაციული რისკები
პროფესიული განვითარების პროგრამები	სწრაფი ცვლილებები კანონმდებლობაში, ორგანიზაციული მართვისა და განათლების სტანდარტებში,
მაღალკვალიფიციური საერთაშორისო პერსონალის ხელმისაწვდომობა	ფინანსური რისკები
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი საგრანტო პროგრამები	მაღალი რისკის მქონე გაუთვალისწინებელი გარე ფაქტორები.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების პოპულარიზაცია	
ახალგაზრდა მკვლევარების წახალისების სისტემა	

ანგარიშს ახლავს **დანართი,** სადაც უფრო დეტალურად არის ასახული ინფორმაცია უნივერსიტეტში 2015-2020 წლებში განხორციელებული კონკრეტული კვლევითი აქტივობების შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საქმიანობის 2015-2020 წლების კვლევითი საქმიანობის ანგარიშის განუყოფელ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტის მიერ და მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 2015-2020 წლებში განხორციელებული აქტივობების მოკლე მიმოხილვითი სახის აღწერას.

საუნივერსიტეტო გამოცემები

2019 - უნივერსიტეტში შეიცვალა სამეცნიერო ჟურნალის ფორმატი, 2018 წლამდე არსებული პრაქტიკა - საფაკულტეტო ჟურნალების ნაცვლად შეიქმნა **საუნივერსიტეტო სამეცნიერო შრომების კრებული (ISSN 2667-9019)**, რომლის სარედაქციო კოლეგია შედგება ქართველი და საერთაშორისო მეცნიერთა ჯგუფისგან, მოწვეულნი არიან საერთაშორისო რეცენზენტები. შრომების კრებულში სტატიების გამოქვეყნება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის დაფინანსებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტით. **გამოიცა პირველი ნომერი**

2020 - სამეცნიერო ჟურნალი **„სამეცნიერო შრომების კრებული“.** კრებულში წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევარებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტების პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატიები. **გამოიცა მეორე ნომერი**

2020 - კონფერენციის **„ქვეყნის განვითარების შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ პირობებში - ანოტაციების კრებული“.** კრებულში წარმოდგენილია სტუდენტების მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების ანოტაციები;

2020 - საქართველოში აშშ-ის საელჩოს „წიგნის თარგმნის პროგრამა 2018“-ის საგრანტო კონკურსზე ღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროექტის **„Entrepreneurship: Successfully Launching New Venture“** (მე-6 გამოცემა, ISBN 0134729536, ავტორები: Bruce Barringer, R. Duane Irland. გამომცემელი: Pearson Education, Inc.) ფარგლებში ქართულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელო: **„მეწარმეობა, ახალი საწარმოს წარმატებული წამოწყებისთვის“;**

2019 - სამეცნიერო ჟურნალი **„სამეცნიერო შრომების კრებული“;** კრებულში წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევარებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტების პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატიები.

2019 - აღმოსალეთ ევროპის უნივერსიტეტმა დავით ჩერქეზიშვილის ავტორობით გამოსცა სახელმღვანელო: **"რეგიონული ბიზნესის მდგომარეობა და მისი განვითარების შესაძლებლობა საქართველოში"** (აჭარის მაგალითზე);

2018 - საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის **,,ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები - მოხსენებების კრებული";**

2018 - შიდა საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის **,,ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები - ანოტაციების კრებული";**

2017 - **,,სამართლის ფილოსოფია, ევგენი აფონასისნი, ანტონ დიდიკინი";** თარგმანი

2017 - მედიცინის პროგრამის უცხოელი სტუდენტების კმაყოფილების ხარისხის თვისებრივი კვლევა სასწავლო პროცესისა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებთან მიმართებაში - **კვლევის ანგარიში";** EEU-ს დაკვეთით კვლევა განახორციელა ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფმა ,,ეისითი" (act).

2016 - **,,სახელმწიფო მმართველობის მოდელები: საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილე და პერსპექტივა";**

2016 - სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის **,,საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები-მოხსენებების კრებული";**

2015 - დოქტორანტურის ახალი იდეის მიმართ დამოკიდებულებების კვლევა ბიზნეს და უმაღლესი განათლების სექტორში - **კვლევის შედეგების ანალიტიკური ანგარიში".** კვლევა განახორციელა EEU-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა.

განხორციელებული კვლევები და მიღებული გრანტები:

1. 2020 - სამი კვლევითი დაწესებულების მიერ (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი) განხორციელდა კვლევა **,,სწავლა-სწავლების პრაქტიკის კვლევა საქართველოში"**, რომლის მიზანია ინსტიტუციების ხელშეწყობა არსებული გამოწვევების დაძლევაში.
2. ბრიტანეთის საბჭოს 2020 წლის საგრანტო კონკურსზე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრის კვლევითი პროექტით **,,რასიზმი და ეთნიკური წარმომავლობა ფართო ევროპაში და მისი გავლენა ბრიტანეთის საბჭოზე"** მოპოვებული გრანტი. პროექტის მიზანია **ფართო ევროპის** (WE-Wider Europe) რეგიონის 15 ქვეყანაში რასიზმისა და ეთნიკური წარმომავლობის შესახებ არსებული ცნებების კვლევა და ანალიზი, ბრიტანეთის საბჭოს ფართო ევროპაში მიმდინარე პროცესებზე მომუშავე პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობა, როგორც პასუხი ახლად შემუშავებული გლობალური ანტი-რასისტული ვალდებულებისა, რომელიც

ორგანიზაციის კორპორატიულ მიზანს წარმოადგენს და ანგარიშვალდებულია დიდი ბრიტანეთის წინაშე.

3. საქართველოში აშშ-ის საელჩოს ,,წიგნის თარგმნის პროგრამა 2020"-ის საგრანტო კონკურსზე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროექტით **,,ორგანიზაციული ქცევა, უნარ-ჩვევების ფორმირება/**Organizational Behavior: A Skill-Building Approach", (მე-2 გამოცემა, ISBN 978-1544317540, ავტორები: Christopher P. Neck, Jeffery D. Houghton, Emma L. Murray, გამომცემლობა: SAGE Publications, Inc.) მოპოვებული გრანტი.
4. ERASMUS+ პროგრამის სტიპენდიები და გრანტები (2015, 2016, 2018, 2020) - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და ავსტრიის განათლების უნივერსიტეტისერთობლივი პროექტი, სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლითი პროგრამის შესახებ დაფინანსებულია Erasmus+ პროგრამის ფარგლებში.
5. ERASMUS + გრანტი 2020 (ონდოკუზ მაიის-ის უნივერსიტეტი). აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტსა და „ონდოკუზ მაიის"-ის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი, სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლითი პროგრამის შესახებ დაფინანსებულია Erasmus+ პროგრამის ფარგლებში.
6. ERASMUS + გრანტი 2020 (ბუქარესტის ეკონომიკის უნივერსიტეტი). აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და ბუქარესტის ეკონომიკის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი, სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლითი პროგრამის შესახებ დაფინანსებულია Erasmus+ პროგრამის ფარგლებში.
7. საქართველოში აშშ-ის საელჩოს ,,წიგნის თარგმნის პროგრამა 2019"-ის საგრანტო კონკურსზე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროექტით **,,ფინანსური აღრიცხვა/Financial Accounting",** (მე-5 გამოცემა, ISBN 9780134727790, ავტორები: Robert Kemp and Jeffrey Waybright. გამომცემელი: Pearson Education, Inc.) მოპოვებული გრანტი. პროექტის პარტნიორია საქართველოს უნივერსიტეტი. სამეცნიერო რედაქტორი, პროფ. შალვა მაჭავარიანი.
8. საქართველოში აშშ-ის საელჩოს ,,წიგნის თარგმნის პროგრამა 2018"-ის საგრანტო კონკურსზე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროექტით **,,მეწარმეობა, ახალი საწარმოს წარმატებული წამორყებისთვის/Entrepreneurship: Successfully Launching New Ventures",** (მე-6 გამოცემა, ISBN 0134729536, ავტორები: Bruce Barringer, R. Duane Irland. გამომცემელი: Pearson Education, Inc.) მოპოვებული გრანტი.
9. 2018 - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და სამი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით (კავკასიის უნივერსიტეტი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი) ,,GICE Partnership" პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოში პირველი მასშტაბური კვლევა, საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დამსაქმებლის მოთხოვნები. აღნიშნული კვლევა უნივერსიტეტების დაკვეთით ჩაატარა ააიპ ,,საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრმა".
10. საქართველოში აშშ-ის საელჩოს ,,წიგნის თარგმნის პროგრამა 2018"-ის საგრანტო კონკურსზე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროექტით **,,ოპერაციათა მენეჯმენტი, პროცესები და მიწოდების ჯაჭვი/Operations Management: Processes and Supply Chains",** (მე-12 გამოცემა, ISBN 0134741064, ავტორები: Lee J., Krajewski, Manoj K. Malhotra, Larry P. Ritzman. გამომცემელი: Pearson Education, Inc.).

11. 2018 წელს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროექტმა მოიპოვა **ფრიდრიხ ებერტის ფონდის (საქართველო)** გრანტი. პროექტის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია **„ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები“** და გამოიცა **სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომების კრებული.**
12. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თანამონაწილეობა საქართველოში აშშ-ის საელჩოს „წიგნის თარგმნის პროგრამა 2016“-ის საგრანტო კონკურსზე პროექტით – **“Strategic Management: A Competitive Advantage Approach, Concepts & Cases”,** (მე-15 გამოცემა, ISBN-13: 9780133444797, ავტორები: Fred R. David and Forest R. David. გამომცემელი: Pearson Education, Inc.).
    a. *წიგნი გამოიცა 2017 წელს (თსუ-ს ეგიდით).*
13. 2016 წელს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროექტმა მოიპოვა **ფრიდრიხ ებერტის ფონდის (საქართველო)** გრანტი. პროექტის ფარგლებში ჩატარდა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია **„ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები“** და გამოიცა ამავე დასახელების სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომების კრებული.
    a. *პროექტი განხორციელდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თანადაფინანსებით.*
14. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროექტმა **„ტოლერანტობისა და ინტერკულტურული განათლების სკოლა“** მოიპოვა სსიპ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი.
    a. *პროექტი განხორციელდა 2015 წლის 22-29 ნოემბერს.*
15. 2015 წელს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მკვლევარების მონაწილეობით **ფრიდრიხ ებერტის ფონდის (საქართველო)** მიერ დაფინანსებული პროექტი **„საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები“**. გამოიცა ამავე დასახელების კრებული. პროექტის ხელმძღვანელი - პროფ. შალვა მაჭავარიანი, EEU.

ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები (კონფერენციები, ვორკშოპები, სემინარები, ფორუმი)

1. ვორქშოპი: **„კოვიდ-19 და უმაღლესი განათლება: ინტერდისციპლინური პერსპექტივები“,** მოდერატორი: პოლ გიბსი (მიდელსექსის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სადოქტორო განათლების განვითარების ცენტრის დირექტორი (26 იანვარი, 2021);
2. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებული ონლაინ სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: **„ქვეყნის განვითარების შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ პირობებში“.** კონფერენცია ჩატარდა EEU-ს Microsoft-ის ლიცენზირებული პროგრამა Teams 365-ის საშუალებით. (17 ნოემბერი, 2020);
3. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო ევროპის დისტანციური და ელექტრონული სწავლების ქსელის (EDEN-European Distance and E-learning Network) რიგით მე-11 ონლაინ კვლევით ვორქშოპში: **„პერსონალის გამოცდილების ზრდა ტექნოლოგიებით სწავლებაში – ციფრული, ღია, დისტანციური და ქსელური განათლების კვლევების ახალი გამოწვევები“.** კვლევით ვორქშოპზე აღმოსავლეთ ევროპის

უნივერსიტეტის ბრიტანელმა პროფესორმა პოლ გიბსმა წარადგინა სამეცნიერო ნაშრომი: **„პანდემიის შესაძლო გავლენა უმაღლეს განათლებაზე“**. (ოქტომბერი, 2020);

4. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის ორგანიზებით, გაიმართა სტუდენტური ონლაინ კონფერენცია თემაზე: **„ონლაინ სწავლების მნიშვნელობა COVID-19-ის გლობალური გამოწვევების პირობებში და სამედიცინო განათლება“.** კონფერენცია ჩატარდა EEU-ს Microsoft-ის ლიცენზირებული პროგრამა Teams 365-ის საშუალებით (ივლისი, 2020);
5. სემინარი: **„ბავშვის უფლებები და მათი ინტეგრირება საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში“**. (ღასან ხალილი - გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში (11 ივნისი, 2020);
6. სემინარი: **„უმაღლესი განათლების გლობალური გამოწვევები“** (კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი პოლ გიბსი (15 თებერვალი, 2020);
7. საჯარო ლექცია: **„საერთაშორისო უნივერსიტეტების ინტეგრაცია, როგორც სწრაფი განვითარების საშუალება“** (დავით ჩერქეზიშვილი, ვარშავის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში, თებერვალი, 2020);
8. **სემინარი/ტრენინგი: „სამედიცინო განათლების მეთოდები – გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა“. (Kanna Katheravelu Ramaesh,** გლაზგოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. (9 დეკემბერი, 2020);
9. სემინარი: **„Aspects of International Education“.** (Lazare Sebitereko Rukundwa, PhD President et Recteur, Univeristé Eben-Ezer (2019);
10. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და მაქს/პლანკის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო ვორქშოპი: **„საშიში ტრანსნაციონალური დანაშაულები და მათთან ბრძოლის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი გზები და საჭიროებები“. (ოქტომბერი, 2019);**
11. **ვორქშოპი: „კლიმატის ცვლილებები და საერთაშორისო ურთიერთობები“ (მაიქლ ლიუქენი - გერმანიის კლიმატის კონსორციუმის წევრი. (21-22 ოქტომბერი, 2019);**
12. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა სტუდენტური კონფერენცია: **„ინოვაციების მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისთვის“. (სექტემბერი, 2019);**
13. მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალი 2019-ის ფარგლებში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია: **„საქართველოში ინოვაციური პოტენციალის ამაღლების შესაძლებლობები“.** (სექტემბერი, 2019);
14. სემინარი: **„განათლების ფილოსოფი“.** (ავსტრიის განათლების უნივერსიტეტის (ლინცი) პროფესორი იან ბოემი. (20 ივნისი, 2019);
15. მრგვალი მაგიდა: **„ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევები კავკასიის რეგიონში“** დემურ გიორხელიძე (ეკონომიკის ექსპერტი პროფესორი), (6 ივნისი, 2019);
16. სემინარი: **„კონსტიტუციური დაძაბულობა შექმნილი პრეზიდენტ ტრამპის მმართველობის დროს“** (ამერიკის ვიდენერის უნივერსიტეტის, დელავერის სამართლის სკოლის დეკანი პროფესორმა როდნი სმოლა. (28 მაისი, 2019);
17. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **„უმაღლესი განათლების განვითარების მიმდინარე ტენდენციები“;** სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით ტექნოპარკში გაიმართა. (მაისი, 2019);

18. VII კონფერენცია: **„HR გამოწვევები“.** (მაისი, 2019);
19. სემინარი: **„სწავლების თანამედროვე მეთოდები“** (ფრესენიუსის (Fresenius) უნივერსიტეტის დეკანის პროფესორ რიჩარდ გეიბელი. (11 აპრილი, 2019);
20. საჯარო ლექცია: **„განათლების სფეროს განვითარების მნიშვნელობა ევროინტეგრაციის გზაზე“** (ელზბიეტა კარსკა, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავჯდომარე, საერთაშორისო სამართლის დოქტორი, პროფესორი. (15 დეკემბერი, 2018);
21. საჯარო ლექცია: **„საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის სამართლებრივი ჩარჩო“** (კაროლ ადამ კარსკი, ევროპატლამენტის წევრი, საერთაშორისო სამართლის დოქტორი, პროფესორი. (15 დეკემბერი, 2018);
22. სემინარი: **„პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და ელიტური კორუფციის გამოვლენა“** (ბერნდ თომას ჰაინრიხი. (16 ნოემბერი, 2018);
23. ICEF ბერლინის ვორკშოპი (ბერლინი, ნოემბერი, 2018);
24. საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: **„ ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები“** (EEU, თბილისი, ნოემბერი, 2018);
25. ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებული კვლევითი ქსელის „PONARS Eurasia'' ვორკშოპი **„სახელმწიფოებისა და ერების მშენებლობა ტურბულენტურ კონტექსტში“** (ერევანი, ნოემბერი, 2018);
26. სემინარი: **„ტრანზიციული ქვეყნები და სამართალი“** (ელიკო წიკლაური-ლამიხი, ფრაიბურგის, მაქსპლანკის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის პროფესორი. (ნოემბერი, 2018);
27. ევროპის სამედიცინო სკოლათა ასოციაციის (AMSE) სამეცნიერო კონფერენცია: **„კვლევის სწავლება სამედიცინო განათლებაში“** (უნგრეთი, ოქტომბერი, 2018);
28. საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაციის (EAIE) საერთაშორისო განათლების გამოფენა-კონფერენცია (ჟენევა, სექტემბერი, 2018);
29. სემინარი: **„ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ელექტრონული რესურსების გამოყენებით“** (EEU, თბილისი, ივნისი, 2018);
30. III საერთაშორისო კონფერენცია ადამიანურ რესურსებში **„ტექნოლოგიის და ადამიანური რესურსების ხანა“** (EEU, თბილისი, მაისი, 2018);
31. დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების საბჭოსა და მიდლსექსის უნივერსიტეტის ორგანიზებით გამართული რიგით მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (ლონდონი, აპრილი, 2018);
32. საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: **„ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები“** (EEU, თბილისი, აპრილი, 2018);
33. კონფერენცია: **„თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამები აგრობიზნესის განვითარების ხელშესაწყობად“** (EEU, თბილისი, ოქტომბერი, 2017);
34. მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2017-ის ფარგლებში გამართული სამეცნიერო კონფერენცია: **„სამართალი და კანონის უზენაესობა“** (EEU, თბილისი, სექტემბერი, 2017);
35. მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2017-ის ფარგლებში გამართული კონფერენცია - ვორკშოპი: **„ინოვაციური პოტენციალის ამაღლების ძირითადი პირობები“** (EEU, თბილისი, სექტემბერი, 2017);

36. სემინარი: **„შედარებითი (კომპარატივისტიკული) განათლება“.** იან ბოემი (ავსტრიის (ლინცი) განათლების უნივერსიტეტი). (ივლისი, 2017);
37. სემინარი: **„ცვლილებათა მენეჯმენტი“.** (გერმანელი პროფესორი მარიო რადომსკი. (20 ივნისი, 2017);
38. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: **„სადოქტორო დისერტაციების ხარისხის ამაღლება, როგორც ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის შესაძლებლობა“** (EEU, თბილისი, აპრილი, 2017);
39. კონფერენცია: **„საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები“** (EEU, თბილისი, ნოემბერი, 2016);
40. სამეცნიერო კონფერენცია: **„აგრარული მეცნიერების დღე“** (EEU, თბილისი, სექტემბერი, 2016);
41. III, IV ეროვნული კონფერენციები კონსტიტუციურ სამართალში (EEU, 2015, 2016);
42. სამეცნიერო კონფერენცია: **„ცოდნის სამკუთხედი“** ევროპულ კონტექსტში (EEU, თბილისი, ივნისი, 2015);
43. სამეცნიერო კონფერენცია: **„ტოლერანტობა - ჰუმანურობის შედეგი“** (EEU, თბილისი, მაისი, 2015);
44. საქართველოს ახალგაზრდული საგარეო საქმეთა სამინისტროსა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენცია: **„გაეროს მოდელირება“**. (9,10,11 მაისი, 2015);
45. სტუდენტური კონფერენცია: **„ყველაფერი NATO-ს შესახებ“** (EEU, თბილისი, აპრილი, 2015);
46. სემინარი: **„სადოქტორო განათლების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“** (EEU, თბილისი, მარტი, 2015).
47. სემინარი-ტრენინგი: **„კვლევის მეთოდები განათლებაში“.** (ტაირონ ბინოე, ამერიკის კენტუკის უნივერსიტეტის პროფესორი. (2015);